№2443 2015 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ასარჩევად ირაკლი შოთაძის კანდიდატურის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „შ[1]“ ქვეპუნქტისა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

1. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულ იქნეს საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებული, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე წარმოდგენილი ირაკლი შოთაძის კანდიდატურა.

2. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძის კანდიდატურა დაუყოვნებლივ წარედგინოს საქართველოს პარლამენტს ასარჩევად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**